ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 ოქტომბერი, 2026 წ.

ბრძანება №01-10/105

ბსუ-ს მოკლევადიან პროგრამაზე **„ქართული ენა უცხოელთათვის" 2026-2027 სასწავლო წელს პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის №01-02/260 ბრძანების,** „ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის **№07-01/04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს მოკლევადიან პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის" სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 27 ოქტომბრის** №01-10/104 ბრძანების, ამავე ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2026 წლის 27 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (№1530081) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026-2027 სასწავლო წლისათვის **განისაზღვროს** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო **პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“** (სულ 600 საკონტაქტო საათი, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: 6-15; სწავლის საფასური ერთ მსმენელზე: 2000 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარში) **განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა:**

   ა) პროგრამის განმახორციელებელი **(საკონტაქტო საათების შემსრულებელი)** ძირითადი პერსონალის (შემდეგში - **მასწავლებელი)** 1 (ერთი) საათის შრომის ღირებულება - **46 ლარით;**

   ბ) დამხმარე პერსონალის - ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების **კოორდინატორის** 1 (ერთი) საათის შრომის ანაზღაურება - **40 ლარით;**

   გ) დამხმარე პერსონალის - ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით **ასისტენტის** (სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით) 1 (ერთი) საათის შრომის ანაზღაურება - **35 ლარით;**

დ) დამხმარე პერსონალის - ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით **ასისტენტის** (სასწავლო პროცესის მართვის **ტექნიკური** უზრუნველყოფის მიმართულებით) 1 (ერთი) საათის შრომის ანაზღაურება **- 27 ლარით**.

2. დამტკიცდეს ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,ქართული ენა უცხოელთათვის" ხარჯთაღრიცხვა 2026-2027 სასწავლო წელს ჩარიცხულ 14 მსმენელზე გაანგარიშებით, წინამდებარე ბრძანების №**1 დანართის** შესაბამისად.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**

„ბსუ-ს მოკლევადიან პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის"
2026-2027 სასწავლო წელს პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“

01-10/105

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 28 ოქტომბრის № ..... ბრძანების დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ქართული ენა უცხოელთათვის“**
(სულ 600 საკონტაქტო საათი, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: 6-15)
ხარჯთაღრიცხვა (14 მსმენელზე)

1.	**ხარჯთაღრიცხვა**	
1.1.	**მსმენელთა რაოდენობა - 14**	
1.2.	სწავლის საფასური ერთ მსმენელზე	**2 000 აშშ დოლარი** (შესაბამისი ეკვივალენტი ლარში 27.10.2026 წლის მდგომარეობით)
1.3.	სულ შემოსავალი	**14X2000 $=28 000 აშშ დოლარი** (73 030, 20 ლარი)
2.	**ხარჯები**	
2.1.	შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობა	**1050 საათი**
2.2	პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის	**43 810 ლარი**
2.2.1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი	**27 600 ლარი**
2.2.2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	**8 800 ლარი**
2.2.3.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	**5 250 ლარი**
2.2.4.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით)	**2 160**
4.	არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსავლის 40 %)	**29 220.20 ლარი**
5.	სულ ხარჯები	**73 030.20 ლარი**

პროგრამის საკონტაქტო საათების განაწილება და შრომის ანაზღაურება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	საკონტაქტო საათი	1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)	საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)
1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი (მოწვეული მასწავლებლები)-	600	46	27 600 ლარი
	პროგრამის დამხმარე პერსონალი			
1.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	220	40	8 800 ლარი
2.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	150	35	5 250 ლარი
3.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით)	80	27	2160 ლარი
			სულ	43 810 ლარი